ფაქტობრივი ინფორმაცია შედეგების შესახებ

პროგრამა „პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის“ საქართველოში

2020 წლის სექტემბერი

ძირითადი ციფრები

- 2 თანმიმდევრული ფაზა 2015 წლიდან
- 16 პროექტი PGG II-ის ფარგლებში
- საქართველოში განხორციელდა ქვეყნისადმი სპეციფიური 2 პროექტი, რომელთა ბიუჯეტიც შეადგენს 2,430,000 ევროს
- საქართველოს მოიცავს 4 რეგიონული პროექტი

რა არის „პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის“?

პროგრამის „პარტნიორობა კარგი მმართველობისთვის“ (PGG) საშუალებით, ევროპის კავშირი და ევროპის საბჭო თანამშრომლობენ აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში (სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, მოდლოვას რესპუბლიკა, უკრაინა, ბელარუსი) მმართველობის განსამტკიცებლად.

PGG ითვალისწინებს კონკრეტულ საჭიროებებზე მორგებულ მხარდაჭერას აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებისთვის, რათა მათ შეძლონ საკუთარი კანონმდებლობისა და პრაქტიკის დაახლოება ევროპულ სტანდარტებთან, ადამიანის უფლებების, კანონის უზენაესობისა და დემოკრატიის სფეროში.

პროექტი: კორუფციის, ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის სისტემების გაუმჯობესება საქართველოში (2019 წლის იანვარი - 2021 წლის დეკემბერი)

PGG II განამტკიცებს საქართველოს სახელმწიფო ორგანოების შესაძლებლობებს ეკონომიკურ დანაშაულთან, კერძოდ, კორუფციასთან, ფულის გათეთრებასთან და ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლისა და პრევენციის კუთხით.

- **საჯარო სამსახურის ბიუროს წარმომადგენლებმა, სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებმა და მოსამართლეებმა** (ჯამში 115-ზე მეტმა პროფესიონალმა) გაიუმჯობესეს შესაძლებლობები შემდეგი მიმართულებებით: საჯარო მოხელეთა ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგი, ინტერესთა კონფლიქტის პრევენცია, კორუფციისა და ტერორიზმის დაფინანსების დანაშაულების გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა.
- საქართველოში აზარტული თამაშების ბიზნეს-სექტორის 30-ზე მეტმა წარმომადგენელმა **აიმაღლა ცნობიერება ფულის გათეთრებასთან და ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის პრინციპებთან შესაბამისობისა და კონტროლის მიმართულებით;** ადგილობრივი ტრენერების მხარდასაჭერად შემუშავდა სასწავლო მოდული ფულის გათეთრებასთან და ტერორიზმის დაფინანსებასთან დაკავშირებული შემთხვევების გამოძიების, სისხლისსამართლებრივი დევნისა და სასამართლოში საქმის წარმოების შესახებ.
- პროექტის ფარგლებში მომზადდა საქართველოს მთავარ პროკურატურაში არსებული დისციპლინური პასუხისმგებლობის სისტემის ანალიზი და წარმოდგენილი იქნა რეკომენდაციები და კონკრეტული გეგმა **პროკურორის დისციპლინურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული სამართლებრივი ჩარჩოს გადახედვასთან დაკავშირებით.**
- პროექტის ფარგლებში საქართველოს გაეწია მნიშვნელოვანი დახმარება ქვეყნისათვის **პირველი ეროვნული ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასების ანგარიშის** და **ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის კანონის მომზადებაში.** ორივე დოკუმენტი 2019 წელს მიიღეს.

[მოკლე ინფორმაცია აღნიშნული პროექტის შესახებ ხელმისაწვდომია ევროპის საბჭოს ვებ-გვერდზე.]

პროექტი: სასამართლო რეფორმების მხარდაჭერა

კომპონენტი 1: სასამართლო სისტემის ანგარიშვალდებულებისა და ეფექტიანობის გაუმჯობესება და ადვოკატთა პროფესიონალიზმის ამაღლება საქართველოში (2019 წლის ნოემბერი - 2021 წლის ნოემბერი)

*PGG II მხარს უჭერს სასამართლო სისტემის **ქმედითობის, ეფექტიანობის და გამჭვირვალობის გაუმჯობესებას.***

- გაუმჯობესდა საკონსტიტუციო სასამართლოს საქმისწარმოების სისტემა, რაც შესაძლებელს ხდის რაც შესაძლებელს ხდის **მომხმარებლისთვის ყველა საჭირო საქმის შესახებ ინფორმაციაზე წვდომას**. **აღნიშნული** უზრუნველყოფს მართლმსაჯულების ფართო მისაწვდომობას. ბავშვზე მორგებული სასარჩელო ფორმების შექმნის მიზნით სასამართლოს გაეწია ექსპერტული დახმარება. .
- მომზადდა რეკომენდაციები მართლმსაჯულების ეფექტიანობის ევროპული კომისიის (CEPEJ) ინსტრუმენტებზე დაყრდნობით, **მონაცემთა შეგროვების მეთოდების გასაუმჯობესებლად**.
- შემუშავდა სამართლიანი და დამსახურებაზე დაფუძნებული სტანდარტები **სასამართლოს არა-მოსამართლე მოხელეთა შესაფასებლად**.
- მომზადდა რეკომენდაციები საქართველოს მედიატორთა ასოციაციისთვის, **მედიაციის სქემების სერტიფიცირებისა და აკრედიტაციის იმპლემენტაციის შესახებ**.
- გაუმჯობესდა **საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის თანამშრომელთა ცნობიერება** სასწავლო საჭიროებების იდენტიფიკაციის მეთოდოლოგიისა და ტრენინგის მართვის შესახებ. გადაიხედა იუსტიციის უმაღლესი სკოლის მოსამზადებელი პროგრამა, ექსპერტთა რეკომენდაციების შესაბამისად.

კომპონენტი 2: სისხლის სამართლის მართლმსაჯულების რეფორმის მხარდაჭერა - სასამართლო რეფორმის სისხლისსამართლებრივი ასპექტები (2019 წლის იანვარი - 2021 წლის დეკემბერი)

*PGG II მხარს უჭერს საქართველოში **სისხლისსამართლებრივი პროცესის** ევროპული სტანდარტების შესაბამისად წარმოებას.*

- განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ პროექტმა **მხარი დაუჭირა სახელმწიფო ორგანოებს, „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე კანონპროექტის მომზადების პროცესში**.
- დაიწყო **საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსისა და მასთან დაკავშირებული კანონების** გადახედვა, რომელიც, ძირითადად, არეგულირებს სამართალდამცავი უწყებების სამოქმედო ჩარჩოს.
- პროექტის ფარგლებში მომზადდა და ხელმისაწვდომი გახდა ადამიანის უფლებების სწავლების იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებისთვის **(HELP) ორი კურსი,** სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობისა და სისხლის სამართლის საქმეებზე მიღებული განაჩენების დასაბუთების შესახებ; ქართულ ენაზე ითარგმნა HELP -ის კურსები არასათანადო მოპყრობასთან ბრძოლის შესახებ და წამების და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის, ან დასჯის აღკვეთის ევროპული კომიტეტის სტანდარტების შესახებ.
- შესაძლებლობების განვითარებისკენ მიმართულმა კურსებმა ხელი შეუწყო მომავალი მოსამართლეების ცოდნის ამაღლებას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესახებ, **ძალაუფლების ბოროტად გამოყენების საქმეებზე მართლმსაჯულების განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით**.
- **გენდერული ანალიზის** ანგარიშში წარმოდგენილია რეკომენდაციები ბენეფიციარ დაწესებულებებში არსებულ გენდერულ გამოწვევებზე რეაგირების შესახებ.

[პროექტის ორივე კომპონენტის შესახებ მოკლე ინფორმაცია ხელმისაწვდომია ევროპის საბჭოს ვებ-გვერდზე.]

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, ეწვიეთ:
https://pjp-eu.coe.int/en/web/pgg2/georgia

საკონტაქტო ინფორმაცია:
Ogdp_pgg@coe.int
@partnershipgovernance
@CoeEapPCF

საქართველოში განხორციელებული რეგიონული პროექტები:

- ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლისა და პრევენციის ზომების განმტკიცება;
- ადვოკატის პროფესიის განმტკიცება ევროპული სტანდარტების შესაბამისად;
- ქალების ხელმისაწვდომობა მართლმსაჯულებაზე: სტამბოლის კონვენციისა და გენდერული თანასწორობის სხვა ევროპული სტანდარტების განხორციელება;
- მართლმსაჯულებაზე წვდომის განმტკიცება დაცვის არასამართლებრივი მექანიზმების გამოყენებით, დისკრიმინაციის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულისა და სიძულვილის ენის მსხვერპლთათვის.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად, გაეცანით ფაქტობრივ ინფორმაციას რეგიონული პროექტების შესახებ